2014

როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დეგაღური მიგრაციის შესაძღებღობებზე?

ბროშურა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის “საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა” ფარგლებში. პროექტის ოთხი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთია არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის მიზანია მოქალაქეების ინფორმირება არალეგალური მიგრაციის რისკებსა და საფრთხეებზე და ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებზე.

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ.

ბროშურაში გამოთქმული მოსაზრებები
არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

ევროკავშირში 28 ქვეყანაა გაწევრიანებული. მათგან რამდენიმე წევრი სახელმწიფო ქართველი მიგრანტების ძირითად სამიზნეს წარმოადგენს. მათ შორისაა: გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, პოლონეთი, ნიდერლანდები.

პოტენციური მიგრანტები ხშირად მიჰყვებიან ახლობლების კვალს, რომლებიც ლეგალურად თუ არალეგალურად დასახლდნენ მიმღებ ქვეყანაში. ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, არ ხდება დანიშნულების ქვეყნის შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვების საფუძველზე. ამდენად, მიგრანტები შესაძლოა უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩ-ნდნენ საზღვარგარეთ, ვიდრე სამშობლოში.

ევროკავშირის ქვეყნებისთვის არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამ პრობლემის დასაძლევად წევრი სახელმწიფოები, ერთი მხრივ, ამკაცრებენ წესებსა და კონტროლს, მეორე მხრივ, თანმიმდევრულად მუშაობენ ლეგალიზაციისა და ლეგალური მიგრაციის სქემების განვითარებაზე. თითოეულ მათგანს განსხვავებული საიმიგრაციო პოლიტიკა და რეგულაციები აქვს. თუმცა არის ძირითადი მოთხოვნები, რაც ყველასთვის საერთოა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სამუშაოს წინასწარ, გამგზავრებამდე მოძიება. სწორედ დამსაქმებლის ოფიციალური მოწვევა არის საჭირო შესაბამისი კატეგორიის ვიზის, მუშაობის და ბინადრობის ნებართვის მიღებისთვის. ამიტომ უსაფრთხო მიგრაციის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამგზავრებამდე სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებას საჭირო პროცედურების, დამსაქმებლის და შესასრულებელი სამუშაოს პირობების შესახებ.

ამ ბროშურის მიზანი ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებზე არსებული საინფორმაციო რესურსების მიწოდებაა.

ბროშურაში მოცემულია რამდენიმე ვებ-რესურსი, რომელიც სასარგებლო ინფორმაციას აწვდის ევროკავშირში სამუშაოდ ან სასწავლებლად წასვლის მსურველებს (ინგლისურ და წევრი სახელმწიფოების სხვა ენებზე) და მიუთითებს, თუ რა უნდა გაითვალისწინონ გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ვებ-რესურსებია: ევროკავშირის ოფიციალური საიმიგრაციო/EU IMMIGRATION PORTAL და დასაქმების მობილობის პორტალები /EURES-THE EUROPEAN JOB MOBILITY PORTAL, ასევე, საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლობების ოფიციალური საიტები, რომლებზეც სისტემატურად ხორციელდება არსებული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის განახლება.

აღნიშნული და სხვა საიტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება პოტენციურ მიგრანტებს მისცემს შესაძლებლობას უკეთესად გაეცნონ დანიშნულების ქვეყანაში არსებულ სიტუაციას და მიიღონ სწორი გადაწყვეტილება.

- ევროკავშირის საიმიგრაციო პორტალი/EU Immigration portal
  http:// ec.europa.eu/immigration/

- ევროკავშირის დასაქმების მობილობის პორტალი/EURES - The European job mobility portal
  http://ec.europa.eu/eures/

- EURAXESS - Researchers in Motion
  http://ec.europa.eu/euraxess/

- „ინფორმირებული მიგრაციის” ვებ–გვერდი
  www.informedmigration.ge

- MIGRANT.GE - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოები თბილისში

EU IMMIGRATION PORTAL



ec.europa.eu/immigration/

პორტალი შექმნილია მათთვის, ვინც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში აპირებს მიგრაციას სამუშაოდ, სასწავლებლად, კვლევის ჩატარების თუ ოჯახთან გაერთიანების მიზნით. საიტზე, ასევე, მოცემულია ინფორმაცია ევროკავშირის მოქალაქეებისა და მათი არამოქალაქე ნათესავების უფლებების შესახებ.

ინფორმაცია ოთხი კატეგორიის მიხედვით არის ორგანიზებული:

1. What do I need before leaving/რა მჭირდება წასვლამდე?

2. What should I avoid/რა უნდა ავიცილო თავიდან - როგორ იცავს ევროკავშირი ტრეფიკინგის მსხვერპლებს და რა რისკების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მიგრანტი?

3. Who does what/ვინ რას აკეთებს - რას აკეთებენ ევროკავშირი და წევრი სახელმწიფოები იმიგრაციის კუთხით?

4. Need more advice/გჭირდება მეტი ინფორმაცია და რჩევა? - იპოვე დამხმარე ორგანიზაციები

კატეგორიაში What do I need before leaving/რა მჭირდება წასვლამდე? მარტივი საძიებო სისტემის საშუალებით შესაძლებელია პირობების, პროცედურების, უფლებების, დამხმარე რესურსების შესახებ იმ ინფორმაციის სწრაფად მიღება, რომელიც რელევანტურია ევროკავშირის შერჩეულ ქვეყანაში მუშაობის, სწავლის, კვლევის ჩატარებისა და ოჯახთან გაერთიანებისთვის.

მაგალითად, თუ თქვენ სეზონურ სამუშაოზე გსურთ წასვლა საბერძნეთში, ან კვლევის ჩასატარებლად გერმანიაში, შესაბამის ველებში მიზნისა და ქვეყნის მითითების შემდეგ მიიღებთ სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო გასამგზავრებლად, რომელი პროცედურები და რა თანმიმდევრობით უნდა გაიაროთ, რა უფლებები გაქვთ და რომელი უწყებები თუ ორგანიზაციები მუშაობენ ამ მიმართულებით.

წევრ ქვეყნებში რეგულაციები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა საერთო ისაა, რომ სამუშაოდ თუ სასწავლებლად გამგზავრებისთვის საჭიროა შესაბამისი კატეგორიის ვიზა, რომლის მიღება უნდა მოხდეს დამსაქმებლის განცხადების/კონტრაქტის ან შესაბამისი სასწავლო დაწესებულების მოწვევის საფუძველზე.

EURES-THE EUROPEAN JOB MOBILITY PORTAL

http://ec.europa.eu/eures/

ეს საინფორმაციო პორტალი დამსაქმებლებისთვის, სამუშაოს მაძიებლებისა და სწავლის მსურველებისთვის არის შექმნილი. მასზე მოცემულია ინფორმაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე გამოცხადებული ვაკანსიების, ასევე, დარეგისტრირებული დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების შესახებ.

კატეგორია Learning მსურველებს ეხმარება ევროკავშირის ქვეყნებში სწავლის შესაძლებლობების ძიებაში.

Living&Working კი სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს ევროკავშირის თითოეული ქვეყნის შრომის ბაზრის, გამოცხადებული ვაკანსიების, უმუშევრობის დონისა და დაუსაქმებელი მოსახლეობის რაოდენობის, ასევე მუშაობისა და ცხოვრების პირობების შესახებ.

პორტალი ნათელ წარმოდგენას უქმნის დაინტერესებულ პირებს მიგრაციის სამიზნე ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ.

მაგალითად, წევრი ქვეყნების ჩამონათვლიდან პოლონეთის მონიშვნის შემდეგ მიღებული ინფორმაციის თანახმად 2009 წლის შემდეგ ამ ქვეყანაში ვაკანსიების რაოდენობა საგრძნობლად (27%-ით) შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლების მონაცემების მიხედვით შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (ასაკი: 15-64) მხოლოდ 59.7%-ს, რაც ევროკავშირის ქვეყნების დასაქმების საშუალო მაჩვენებელზე (64.3%) დაბალია.

2011 წლის მონაცემების მიხედვით ყველაზე მაღალი მოთხოვნა შემდეგ პროფესიებზე იყო: მომვლელი (74 900 ვაკანსია), მაღაზიის ასისტენტი (39 400 ვაკანსია), ოფისის ტექნიკური მომსახურება (26 000 ვაკანსია), მუშა (22 500 ვაკანსია).

ამასთანავე ირკვევა, რომ ადგილობრივ შრომით ბაზარზე მოთხოვნად სამუშაოებზე მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას, რადგან იმ პროფესიათა შორის, რომელთა წარმომადგენლებში ყველაზე მაღალია უმუშევრობა, იგივე დასახელებები მეორდება: მაღაზიის გამყიდველი, ზეინკალი, ეკონომისტი, მომვლელი, მკერავი, კალატოზი.

Living&Working კატეგორიის გერმანიის გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, უმუშევრობის მაჩვენებელი ბოლო წლებში გაიზარდა 0.1 პროცენტიდან 7,4 პროცენტამდე. დასაქმების პრობლემა უფრო მწვავეა დასავლეთ გერმანიაში. მიუხედავად ამისა ევროპის მასშტაბით გერმანიას უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს.

2013 წლის იანვარში გერმანიაში ვაკანსიების მაღალი რიცხვი დარეგისტრირდა. მათ შორის იყო ვაკანსიები დროებით სამუშაოებზე, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, მანქანების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების, ბიზნეს სერვისის, ელექტროენერგიისა და აირის დისტრიბუციის სფეროებში. ხოლო იმ სფეროებს შორის, რომლებშიც კადრების ნაკლებობა აღინიშნა, არის ბუნებრივი რესურსების მოპოვება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მშენებლობა, არქიტექტურა და ა.შ. ამჟამად კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა შემდეგ სფეროებში: მექანიკური და საავტომობილო ინჟინერია, პლასტმასის და ხის დამუშავება, მშენებლობა (კანალიზაცია, მილების გაყვანილობა), ელექტრობისა და გაზის მიწოდება. ჩამოთვლილ ტექნიკურ სფეროებში მოთხოვნა არის როგორც კვალიფიციურ უმაღლესი განათლების მქონდე კადრებზე, ისე გამოცდილ ტექნიკოსებზე.

EURAXESS - RESEARCHERS IN MOTION

http://ec.europa.eu/euraxess/

EURAXESS - მკვლევარების ვებ-პორტალი წარმოადგენს ევროკავშირის უნიკალურ ინიციატივას, რომლის მიზანია მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია და დამხმარე სერვისები იმ მკვლევარებს, რომელთაც კარიერის გაგრძელება უნდათ ევროპაში ან სურთ საკუთარი კვლევითი საქმიანობით დაკავშირებულნი იყვნენ ევროპულ სივრცესთან. ის, ასევე, ეხმარება კვლევით ორგანიზაციებს ევროკავშირის შიგნით და გარეთ სასურველი კანდიდატების ძიების პროცესში.

საიტი ორგანიზებულია ოთხი საინფორმაციო ბლოკის მიხედვით:

1. JOBS/ვაკანსიები და კვლევითი სტიპენდიები

2. SERVICES/სერვისები - ინდივიდუალური კონსულტაცია/რჩევა

3. RIGHTS/უფლებები - ინფორმაცია მკვლევართა ევროპული ქარტიისა და მკვლევართა რეკრუტირების კოდექსის შესახებ. მათში გაწერილია წესები და ვალდებულებები, რომლებიც მკვლევარებმა, დამსაქმებლებმა და დამფინანსებლებმა უნდა შეასრულონ.

4. LINKS/რესურსები - სასარგებლო ინფორმაცია ერთობლივი კვლევითი პროექტების დაგეგმვის თაობაზე და ახალი შესაძლებლობების შესახებ ევროკავშირში კვლევითი სამუშაოს გაგრძელების მსურველთათვის.

ბმული JOBS დაინტერესებულ პირებს სთავაზობს დეტალურ ინფორმაციას ათასობით ვაკანსიასა თუ სასტიპენდიო პროგრამაზე ევროკავშირის შიგნით და მის გარეთ (აშშ, კანადა, თურქეთი და ა.შ.).

მოსახერხებელი საძიებო სისტემა ვაკანსიების კლასიფიკაციას ახორციელებს სასურველი ქვეყნის ან სფეროს მიხედვით.

სფეროების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია (სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო დისციპლინები, ხელოვნება, არქიტექტურა, გეოგრაფია, ფიზიკა, პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ.).

SERVICES კატეგორია მკვლევარებს დაეხმარება დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაში დანიშნულების ქვეყანაში კვალიფიკაციის აღიარების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, სოციალური დაცვის, ბავშვების განათლებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

„ინფორმირებული მიგრაციის” ვებ-გვერდი

www.informedmigration.ge

ვებ-გვერდი ინფორმირებული მიგრაცია მოქმედებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის/IOM და "მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის”/TIG პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით. ამ ინიციატივის მიზანია:

- საქართველოს მოსახლეობისთვის უახლესი ობიექტური ინფორმაციის მიწოდება უსაფრთხო მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ

- საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ინფორმირება რეინტეგრაციის პროგრამებისგან გრძელვადიანი სარგებლის მიღების შესახებ.

სასარგებლო ინფორმაციის მიღების გარდა, ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე, შესაძლებელია კონსულტაციის მიღება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ვებ-გვერდებზე მოცემულია ინფორმაცია შრომითი მიგრაციის შესახებ ევროკავშირის ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებში. ევროკავშირის ნაწილში ბუკლეტების მეშვეობით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება დასაქმების შესაძლებლობების შესახებ შვიდ წევრ ქვეყანაში - ბელგია, გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

ვაკანტური სამუშაო ადგილების ვებ-გვერდებია:

რუმინეთი

http://www.anofm.ro/
http://www.bestjobs.ro/
http://www.ejobs.ro/
http://www.myjob.ro/

საფრანგეთი

http://www.pole-emploi.fr/accueil/
http://www.apec.fr/Accueil/ApecIndexAccueil.jsp

შვედეთი

http://www.sweden.se/work
http://work.sweden.se/how-to-find-a-job/labour-shortage-list/
http://www.thelocal.se/
http://www.svensktnaringsliv.se/english/

ბელგია

http://www.brusselsjobs.com/
http://www.eurobrussels.com/
http://www.jobsinbrussels.com/
http://www.vacature.com/

ჩეხეთის რესპუბლიკა

http://www.jobs.cz/
http://www.jobmaster.cz/index.php
http://www.expats.cz/

ბროშურაში კონკრეტულად არის გაწერილი პროცედურები, რომლებიც უნდა გაიაროს ამ ქვეყნებში გამგზავრების მსურველმა. კერძოდ, სად მოიპოვოს ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, რომელი საბუთები აიღოს, რა უფლებებით შეუძლია ისარგებლოს, ვის მიმართოს კონკრეტულ შემთხვევებში. მოცემულია საჭირო კონტაქტებიც აღნიშნულ ქვეყნებში.

ასევე, ვებ-გვერდზე პუბლიკაციების ნაწილში მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია/ILO–ს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია/IOM–ის მიერ პოტენციური შრომითი მიგრანტებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელოები კონკრეტულ ქვეყნებზე - მათ შორისაა: ავსტრია, გერმანია, საბერძნეთი. აღნიშნული სახელმძღვანელოები პოტენციურ მიგრანტებს დახმარებას გაუწევს მიიღონ მეტი ინფორმაცია ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებსა და არარეგულარულ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

ავტორები აფრთხილებენ მკითხველებს, რომ სახელმძღვანელო არ არის განკუთვნილი იურიდიული რჩევის უზრუნველყოფისთვის, რადგან კანონი ხშირად იცვლება და მოცემული ინფორმაცია ემყარება გარედან მოწოდებულ წყაროებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია არ იძლევა გარანტიას ბროშურის შინაარსის სიზუსტესა და საიმედოობაზე.

სახელმძღვანელოები დაყოფილია შემდეგ თავებად:

- გადაწყვეტილების მიღება გამგზავრებამდე - გაეცნობით ინფორმაციას შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის შესახებ. მოცემულია საიტი, რომელზეც იხილავთ ინფორმაციას ყველაზე მოთხოვნად პროფესიებსა და უცხოელებისთვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების კვოტებზე. გაეცნობით, თუ რა მოთხოვნებია დასაკმაყოფილებელი შესაბამის ქვეყანაში სამუშაოს დასაწყებად.

- სად შეიძლება სამუშაოს პოვნა - მოცემულია დასაქმების სამსახურებისა და სააგენტოების ვებ-გვერდები. აგრეთვე მოცემულია იმ გაზეთების ვებ-გვერდები, რომლებიც აქვეყნებენ სამუშაო ვაკანსიებს. მოცემულია იმ საბუთების ჩამონათვალი, რომელიც მოეთხოვება საქართველოს მოქალაქეს სამუშაოს დასაწყებად.

- დასაქმების პირობები - კანონმდებლობა - მოცემულია ის უფლებები და სოციალური დაცვის პირობები, რითაც შეუძლია ისარგებლოს შესაბამის ქვეყანაში დასაქმებულმა პიროვნებამ.

- პრობლემები და სირთულეები - განხილულია სირთულეები, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინოს ჩამოთვლილ ქვეყნებში მუშაობის დროს. მოცემულია იმ ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც უნდა მიმართოთ დახმარებისთვის პრობლემების შემთხვევაში.

- ცხოვრება - გაეცნობით ზოგად ინფორმაციას შესაბამისი ქვეყნის და მასში ცხოვრების შესახებ.

- ფულთან დაკავშირებული საკითხები და ფულადი გზავნილები - ამ თავში მოცემულია რჩევები, რეკომენდაციები და ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ ფულთან დაკავშირებული ოპერაციების წინ.

- დაბრუნება საქართველოში - მოცემულია სახელმწიფო წარმომადგენლებისა და ორგანიზაციების მისამართები, რომლებიც სთავაზობენ რეინტეგრაციის პროგრამებსა და დახმარებას/მომსახურებას სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს.

მაგალითად, ავსტრიის სახელმძღვანელოს მიხედვით, დასაქმების მთავარი მოთხოვნა არის გერმანული ენის ცოდნა. უმეტეს პროფესიულ დარგებში (სოფლის მეურნეობის გარდა) კვალიფიკაცია მოითხოვება. დაწესებულია ჯარიმები მათზე, ვინც აღიარებული სერტიფიკატის გარეშე მუშაობს.

ავსტრიის სახელმძღვანელოში მოცემული 2006-2007 წლების მონაცემების[1] მიხედვით, უცხოელებისთვის დაწესებული იყო კვოტები შემდეგ სექტორებში: ძირითადი სექტორები (მაგ. სოფლის მეურნეობა), წარმოება (მრეწველობა), მომსახურების სექტორი (ვაჭრობა, სასტუმრო). ასევე, მითითებულია ეკონომიკის, ოჯახისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელზეც ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა სექტორში არაკვალიფიცურ სამუშაოებზე მოთხოვნის შესახებ. ამ ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით ტურიზმის სექტორში 2012-2013 წლებში უცხოელებისთვის გამოყოფილი კვოტა 3375-ს[2] შეადგენდა.

სახელმძღვანელოში, ასევე, საუბარია მკაცრ შეზღუდვებზე, რომელიც ავსტრიას აქვს დაწესებული არაევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების დასაქმებაში. ავსტრიაში სამუშაო და ბინადრობის ნებართვის გარეშე მუშაობა არალეგალურად ითვლება. არალეგალურად დასაქმებულებს ქვეყნიდან აძევებენ და მათ ორიდან ათ წლამდე ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ.

[1] http://informedmigration.ge/pdf/country/Austria.pdf
[2] http://www.en.bmwfj.gv.at/Tourism/TourisminAustria/Documents/arbeitsmarkt_eng.pdf

MIGRANT.GE
ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს



საიტი migrant.ge შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაცია სიდას მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორწლიანი (2013–2015) პროექტის "ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" ფარგლებში. პროექტის ზოგადი მიზანია მიგრაციული ნაკადების უკეთესად მართვაში საქართველოსთვის დახმარების გაწევა. პროექტის ამოცანებია: ქართველი მიგრანტების უფლებების დაცვა; ქართველებისათვის კარგად მართული ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა თურქეთსა და საბერძნეთში; საქართველოს განვითარებაზე მიგრაციის პოზიტიური ეფექტების ოპტიმიზირება.

საიტის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მიგრაციასთან, სტატუსთან დაკავშირებულ და სხვა თანამდევ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებზე: საბერძნეთსა და თურქეთში დასაქმების, საქართველოს რეგიონებში ინვესტირების, გადამზადების, რეინტეგრაციის შესაძლებლობებზე. საიტის გარდა ფუნქციონირებს პროექტის გვერდი Facebook–ზე (https://www.facebook.com/migrant.ge).

პროექტის ფარგლებში მიგრანტებისთვის მნიშვნელოვან საგანგებო საკითხებზე უწყვეტ რეჟიმში მუშაობს სკაიპ ცხელი ხაზები (migrant_gr, migrant_tr, migrant_ge).

საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოები

ახალი სასწავლო თუ დასაქმების პროგრამების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. ამდენად, მნიშვნელოვანია ამ საიტების რეგულარულად შემოწმება ან საელჩოების, საკონსულოების წარმომადგენლებთან კონსულტაციები.

გთავაზობთ საელჩოების საკონტაქტო ინფორმაციას:

საბერძნეთი - http://www.mfa.gr/georgia
ტაბიძის ქ. ტაბიძის N°37დ, 0179, თბილისი
ტელ.: 291 49 70/74
gremb.tbi@mfa.gr

საფრანგეთი - http://www.ambafrance-ge.org/
კრწანისის ქ. N°49, 0114, თბილისი
ტელ. : 272 14 90
ფაქსი : 272 13 65
ambafrance@access.sanet.ge

იტალია - http://www.ambtbilisi.esteri.it
ჩიტაძის ქ. N3ა, 0108, თბილისი
ტელ.: 299 64 18
embassy.tbilisi@esteri.it

გერმანია - http://www.tiflis.diplo.de
სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასი”
თელავის ქ. N20, 0103, თბილისი
ტელ.: 244 73 00

ნიდერლანდები - http://georgia.nlembassy.org/
სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასი”
თელავის ქ. N20, 0103, თბილისი
ტელ.: 227 62 00

გაერთიანებული სამეფო - https://www.gov.uk/government/world/georgia
კრწანისის ქ. N° 51, 0114, თბილისი
ტელ.: 227 47 47
British.Embassy.Tbilisi@fco.gov.uk

შვედეთი - http://www.swedenabroad.com/en-GB/Embassies/Tblisi/
ყიფშიძის ქ. N15, 0162, თბილისი
ტელ.: 255 03 20
ambassaden.tbilisi@gov.se

პოლონეთი - http://tbilisi.msz.gov.pl/en/
ძმები ზუბალაშვილების ქ. N19, 0108 , თბილისი
ტელ..: 292 03 98
tbilisi.amb.sekretariat@msz.gov.pl

ჩეხეთი - http://www.mzv.cz/tbilisi
ჭავჭავაძის გამზირი N37, 0179, თბილისი
ტელ.:291 67 40/41/42
tbilisi@embassy.mzv.cz

ლიტვა - http://ge.mfa.lt/index.php?3926713301
თენგიზ აბულაძის ქ. N 25, 0162, თბილისი
ტელ.: 291 29 33
ელ.ფოსტა : amb.ge@urm.lt

ლატვია - http://www.am.gov.lv/en/georgia/
ახმეტის ქ. N16, ავლაბარი, 0144, თბილისი
ტელ.: 224 48 58
embassy.georgia@mfa.gov.lv

ესტონეთი - http://www.tbilisi.vm.ee/
ლიხაურის ქ. N4, საბურთალო, 0171, თბილისი
ტელ.: 236 51 22
tbilisisaatkond@mfa.ee

ამჟამად შემდეგი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი:

- იტალიის საელჩოს ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია იტალიაში საქმიანი ურთიერთობების დამყარების, სასწავლო სტიპენდიებისა და სხვა შესაძლებლობების შესახებ.

- საფრანგეთის საელჩოს ვებ-გვერდზე საფრანგეთში სწავლის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სტიპენდიების, სწავლებისა და სტაჟირების შესახებ.

- ნიდერლანდების საელჩო ვებ-გვერდის სექცია - ”შენ და ნიდერლანდები”/ You and the Netherlands მუშაობის და სწავლის მსურველებს შესაბამის ინფორმაციას აწვდის.

- გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდიდან შეიტყობთ ინფორმაციას გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ გაცემული სტიპენდიებისა და დაფინანსებული კვლევითი პროექტების შესახებ.

- შვედეთის სალეჩოს საიტზე, ასევე, არის მოცემული სასარგებლო რესურსები შვედეთში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ.

შენიშვნები



მშვიდობის, დემოკრატიის და
განვითარების კავკასიური
ინსტიტუტი/CIPDD
www.cipdd.org

საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია/GYLA
www.gyla.ge